მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო

და

ENIGMMA-ს პროექტი „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“

“უახლესი მიგრაციული პროცესები და ევროპა: გამოწვევები და შესაძლებლობები “

საერთაშორისო კონფერენციის მიმოხილვა

29 – 30 სექტემბერი, 2016 წელი

State Commission
on Migration Issues

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD)
Gonzagagasse 1
A-1010 ვენა
ავსტრია
www.icmpd.org

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
ვენა/თბილისი, სექტემბერი 2016 წელი

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია ამ პუბლიკაციის რომელიმე ნაწილის გამრავლება, გადაღება ან გადატანა რაიმე ფორმით ან საშუალებით, ელექტრონულად თუ მექანიკურად, მათ შორის ასლის გადაღების, ჩაწერის თუ ინფორმაციის შენახვის და გამოთხოვის სისტემით, საავტორო უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

დოკუმენტი შემუშავებულია ევროკავშირის დახმარებით პროექტის „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში (ENIGMMA)" ფარგლებში.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ICMPD-ი და არ გამოხატავს დონორების თუ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მოსაზრებას.

საერთაშორისო კონფერენცია - „უახლესი მიგრაციული პროცესები და ევროპა: გამოწვევები და შესაძლებლობები“ ორგანიზებულია საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA) მიერ, რომელიც საქართველოში მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD)-ს მიერ ხორციელდება. პროექტი საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან, მიგრაციის მართვის პროცესში ჩართულ სახელმწიფო უწყებებთან და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება.

ICMPD, თბილისი/ვენა - 2016 წლის სექტემბერი

შინაარსი

კონფერენციის ორგანიზატორები	6
კონფერენციის წინაპირობა	7
ინფორმაცია საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესახებ (SCMI)	9
ინფორმაცია პროექტი ENIGMMA-ს შესახებ	11
ინფორმაცია ICMPD-ის შესახებ	13
კონფერენციის დღის წესრიგი	16
კონფერენციის მონაწილეები	18
ძირითადი მომხსენებლები	18
პანელი 1: ინტეგრაცია	19
პანელი 2: მიგრაცია, ღირებულებები და სოციალური კაპიტალი	26
პანელი 3: საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩო	34
შენიშვნები	41

კონფერენციის ორგანიზატორები

State Commission on Migration Issues

საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (SCMI)

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში

ICMPD International Centre for Migration Policy Development

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD)

ENIGMMA Putting the pieces together to respond effectively to migration challenges

ICMPD ENIGMMA პროექტის გუნდი

UNIVERSITAS TPHILISENSIS 1918

თბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტი

კონფერენციის წინაპირობა

საერთაშორისო კონფერენცია - ***„უახლესი მიგრაციული პროცესები და ევროპა: გამოწვევები და შესაძლებლობები“***, თბილისში, საქართველოში, 2016 წლის 29-30 სექტემბერს გაიმართება. ღონისძიება საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს, ICMPD-ის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევის განვითარების ცენტრის მიერ ერთობლივად ორგანიზებული ინიციატივაა, რომელიც ევროკავშირის დაფინანსებით, ICMPD-ის პროექტის ENIGMMA-ს („მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში) ფარგლებში ხორციელდება საქართველოში. კონფერენცია ENIGMMA-ს პროექტის ღონისძიებების ნაწილია, რომელიც მთავრობასა და აკადემიურ წრეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას გულისხმობს და რომლის მიზანიცაა საქართველოში მიგრაციის მართვის ხელშეწყობა სათანადო, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სტრატეგიების შექმნისა და მიგრაციისა და განვითარების წამყვან სექტორებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზის გზით. კონფერენცია მოიცავს რამდენიმე კონკრეტულ თემას რომლებიც აკადემიურ წრეებსა და მთავრობას შორის ზემოთ ხსენებული თანამშრომლობის მიზნებს გამოხატავს. ღონისძიებაზე მოწვეულია მიგრაციის სფეროთი დაინტერესებული მკვლევარები და დაგეგმილია მიგრაციის სფეროში კვლევითი ნამუშევრების წარდგენა და განხილვა.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გახშირებულია საერთაშორისო და შიდა მობილობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რაც საჭიროებს სწრაფ და ინოვაციურ მიდგომებს წამოჭრილი სირთულეების გადაჭრის მიზნით. რადგანაც უფრო და უფრო მეტი ადამიანი ერთვება სხვადასხვა სახის მიგრაციულ გადაადგილებაში, მიგრაციის უშუალო გავლენა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ გარემოზე მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხი გახდა. მიმღები

ქვეყნების მზაობისათვის საჭიროა მიგრანტების სტრატეგიების გაგება, ასევე განსაზღვრა თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს იმიგრანტების დიდი მასშტაბით შემოდინებას ადგილობრივ და ეროვნულ ეკონომიკასა თუ უსაფრთხოებაზე. ემიგრაციის, იმიგრაციის და დაბრუნებითი მიგრაციის შესწავლის დროს ასევე მნიშვნელოვანია გენდერული მიდგომების შესწავლა. ამ კონფერენციაზე გაიმართება მსჯელობა აღნიშნულ გამოწვევებსა და ევროკავშირში თუ ევროკავშირიდან ბოლო დროინდელი მიგრაციული ნაკადების შესახებ. ამგვარად, ინიციატივა ხელს შეუწყობს აკადემიური ინფორმაციის გაცვლას და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შექმნას ამ სფეროში. კონფერენცია უნიკალური შესაძლებლობაა საერთაშორისო და ქართველი მეცნიერებისათვის შეიკრიბონ და გააიარონ საკუთარო კვლევის მიგნებები, რათა ხელი შეუწყონ სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიგრაცია უფრო ფართო რეგიონთაშორისი პერსპექტივიდან გაიაზრონ.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, კონფერენციის ორგანიზატორებმა შემდეგი თემები შეარჩიეს ღონისძიებაზე განსახილველად:

- ინტეგრაცია
- მიგრაცია, ღირებულებები და სოციალური კაპიტალი
- საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩო

კონფერენცია 29 სექტემბერს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნება, ხოლო სადისკუსიო პანელები სასტუმრო ბილტმორში 30 სექტემბერს გაიამართება. კონფერენცია ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე სინქრონული თარგმანით წარიმართება.

ინფორმაცია საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესახებ (SCMI)

საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (SCMI) 2010 წლის ოქტომბერში, მთავრობის #314 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა. კომისია მთავრობის საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. კომისია 13 სამთავრობო სტრუქტურისგან შედგება. მისი თავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრი, ხოლო თანათავმჯდომარე - შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა.

კომისია ჩამოყალიბდა როგორც მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ძირითადი პლატფორმა და სხვადასხვა უწყებების კომპეტენციაში შემავალი კომპეტენციების კოორდინირების ეფექტური მექანიზმი. ამ კუთხით, კომისიას ანალიტიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან არსებული სამდივნო (ჩამოყალიბებულია ევროკავშირის დაფინანსებით). სამდივნოს ძირითადი ამოცანებია კომისიის ღონისძიებების მხარდაჭერა, მიგრაციის სტრატეგიით განსაზღვრული დავალებების განხორციელება, ტექნიკური, ორგანიზაციული და ინტელექტუალური დახმარების გაწევა და მიგრაციის სტრატეგიაში მოცემული ამოცანების მიღწევისთვის შესაბამისი ღონისძიებების კოორდინირება.

კომისიის საქმიანობა დადებითად შეფასდა ევროპული საზოგადოების და ამ სფეროში მომუშავე წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

კომისიის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით გააქტიურების მიზნით, ჩამოყალიბდა თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ რეინტეგრაციის საკითხებზე, მიგრაციის რისკის ანალიზზე, მიგრაციის სტრატეგიაზე, მოქალაქეობის არქონის

შემცირებაზე, მიგრაციის ერთიანი ანალიტიკურ სისტემზე, მიგრაციასა და განვითარებაზე და უცხოელთა ინტეგრაციაზე.

ამასთანავე, 2013 წელს, ამ სფეროში მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიენიჭათ კომისიაში საკონსულტაციო სტატუსი დამატებითი ექსპერტიზის შეტანის და თანამშომრლობის გაღრმავების მიზნით. კომისიის სამდივნოსთან მათი აქტიური თანამშრომლობის შედეგად, მნიშვნელოვანი წარმატება იყო მიღწეული თემატური გადაფარვის არიდების და არსებული რესურსების მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფის კუთხით. კომისიის მიერ შემოღებული საკოორდინაციო მექანიზმების მეშვეობით, დღეს, მიგრაციის სფეროში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების თემატიკა შეთანხმებულია ყველა მხარესთან და სრულად შეესაბამება ქვეყნის საჭიროებებს.

SCMI-ის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:
http://www.migration.commission.ge.

ინფორმაცია პროექტი ENIGMMA-ს შესახებ

პროექტი „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA) საქართველოს მიერ ევროკავშირი-საქართველოს პარტნიორობის და თანამშრომლობის ხელშეკრულების, ევროკავშირი-საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმის, პარტნიორობა მობილურობისათვის, სავიზო რეჟიმის ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებების წარმატებული განხორციელების ერთ-ერთი შედეგია.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. პროექტი 2013 წლის დეკემბერში დაიწყო და 2017 წლის ივნისამდე გაგრძელდება.

პროექტი ერთობლივად იმართება საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) მჭიდრო თანამშრომლობით. მისი ძირითადი ამოცანა საქართველოში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიგრაციის მართვის ჩარჩოს გაძლიერებაა.

ENIGMMA ეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ მიგრაციის სტრატეგიაში და ევროკავშირი-საქართველოს სავიზო რეჟიმის შესახებ დიალოგსა და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში (VLAP) განსაზღვრულ პრიორიტეტებს.

საქართველოს მთავრობის მიერ მიგრაციის სტრატეგიაში განსაზღვრული პრიორიტეტების, VLAP-ის მიერ დაფარული სფეროების, ამოცანების, პროექტ ENIGMMA-ში განსაზღვრული მოსალოდნელი შედეგების და ღონისძიებების გათვალისწინებით, ICMPD ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ექსპერტების აქტიური ჩართულობით, დახმარებას უწევს საქართველოს

სახელმწიფოს შესაძლებლობების გაძლიერებასა და ინსტიტუციონალურ რეფორმაში მიგრაციის მართვას შემდეგ სფეროებში:

- ლეგალური მიგრაცია, შრომითი მიგრაცია, ცირკულარული მიგრაცია, დიასპორის ჩართულობა და სავიზო პოლიტიკის სტრატეგიების ჩამოყალიბება;
- ადამიანის უფლებების დაცვა, ცნობიერების ამაღლება ადამინის უფლებების შესახებ, პერსონალური მონაცემების დაცვა, საერთაშორისო დაცვა, ადამიანის უფლებების დაცვა არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურაში, ადამიანებით ვაჭრობა (THB) და საზღვრის მართვა, მოწყვლად ჯგუფებზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებით;
- ანალიტიკური შესაძლებლობის და ცოდნის გაძლიერება მიგრაციის შესახებ საქართველოში, კონკრეტულად კი, VLAP-ით მოცული საკითხებში, მათ შორის აკადემიურ წრესთან თანამშრომლობა და მიგრაციის სახელმძღვანელოს შემუშავება;

მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩოს ჩამოყალიბებაში მხარდაჭერა, მათ შორის საქართველოში მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის ყოვლის მომცველი ანალიზი და მიგრაციის სტრატეგიისა და 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში დახმარება.

პროექტ ENIGMMA-ს შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ: www.enigmma.ge და www.facebook.com/ICMPDinGeorgia.

ინფორმაცია ICMPD-ს შესახებ

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) 1993 წელს, ავსტრიისა და შვეიცარიის ინიციატივით დაარსდა. ორგანიზაცია შეიქმნა როგორც არაფორმალური კონსულტაციების, ექსპერტიზის და ეფექტიანი მომსახურების მიწოდების დამხმარე მექანიზმი მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებზე მრავალმხრივი ხელშეკრულებების შედეგად ახლად შექმნილი გარემოებების საპასუხოდ.

ICMPD საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 15 წევრი სახელმწიფოსგან (ავსტრია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, შვედეთი და შვეიცარია) შედგება, ორგანიზაციაში დასაქმებულია 150-ზე მეტი თანამშრომელი, და გააჩნია მისია ბრიუსელში, ხოლო ევროპის გარშემო, მათ შორის საქართველოში, ჩრდილოეთ აფრიკაში, შუა აზიაში და ლათინურ ამერიკაში რეგიონული ოფისები და წარმომადგენლობები. ICMPD-ის გაერთიანებულ ერების დამკვირვებლის სტატუსი გააჩნია.

ICMPD-ის მიზანია ხელი შეუწყოს მიგრაციის ინოვაციური, ყოვლის მომცველი და მდგრადი პოლიტიკის შექმნას და იმოქმედოს როგორც მომსახურების გაცვლის მექანიზმმა მთავრობებისა და ორგანიზაციებისთვის. ICMPD-ის სურს ყოვლის მომცველი, მდგრად და მომავალზე ორიენტირებული მიგრაციის მართვას შეუწყოს ხელი. ICMPD მოქმედებს მყარ მტკიცებულებაზე დაყრდნობით და თანამშრომლობს ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე.

ICMPD ევროპული ორგანიზაციაა, რომელიც ისეთ გლობალურ საკითხზე მუშაობს როგორიცაა მიგრაცია. ევროპა უფრო მეტია ვიდრე გეოგრაფიული მდებარეობა - იგი აერთიანებს პრინციპებსა და ღირებულებებს, რაც საფუძვლად უდევს ICMPD-ს საქმიანობას.

ევროპის მიგრაციის მართვა კანონის უზენაესობის ძლიერ პრინციპებს ეფუძნება და დიდი ხნის ჰუმანიტარული სტატუსის მქონე ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების ეფექტურიდაცვისმექანიზმია.იგიხელსუწყობსმულტილატერული და თანამშრომლობითი მიდგომის გამოყენებას.

2013 წლის სექტემბერში, საქართველოს მთავრობამ და ICMPD-მ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიცირებული იყო საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის ნოემბერში. ხელშეკრულება კიდევ უფრო გააძლიერებს და განავითარებს თანამშრომლობას საქართველოსა და ICMPD-ის შორის.

ICMPD-ის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.icmpd.org, ხოლო ინფორმაცია ICMPD-ის ღონისძიებების შესახებ საქართველოში: www.enigmma.ge და https://www.facebook.com/ICMPDinGeorgia.

კონფერენციის დღის წესრიგი

ხუთშაბათი, 29 სექტემბერი

მისამართი: *საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ლადო გუდიაშვილის ქ. N7, საგამოფენო დარბაზი*	
16:00 – 16:30	***ოფიციალური გახსნა*** თეა წულუკიანი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე ქეთევან ხუციშვილი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში მარტაინ პლაიმი, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) დირექტორი ვიოლეტა ვაგნერი, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) პროექტის კოორდინატორი
16:30 – 17:30	***ლექცია რონალდ სკელდონის მიერ, UNU-MERIT/ მაასტრიხის სახელმწიფო მმართველობის სამაგისტრო სკოლა, პროფესორი*** ***„მიგრაციის ბოლო ტენდენციები ევროპასა და მსოფლიოში“***
17:30-18:00	***დისკუსია***
18:00-20:00	***მიღება***

პარასკევი, 30 სექტემბერი

მისამართი: *სასტუმრო ბილტმორი თბილისი, შოთა რუსთაველის გამზ. N9, გრანდ როიალ ბოლრუმი, პირველი სართული*	
10:00 – 10:30	***გახსნა და მისალმება*** გიორგი ჯაში, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს აღმასრულებელი მდივანი მარტაინ პლაიმი, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) დირექტორი ვიოლეტა ვაგნერი, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) პროექტის კოორდინატორი
10:30 – 12:00	***სესია 1: ინტეგრაცია*** ***სესიის ხელმძღვანელი: მაია მესტვირიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და საგანმანათლებლო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი*** ***დისკუსანტი: მარტინ ჰოფმანი, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), უფროსი მრჩეველი***

	სალთანათ ლიზერტი, მონა სიდიქი და კაროლინ გორციგი *„სახელმწიფო პოლიტიკა და მუსლიმან იმიგრანტთა ინტეგრაცია: ტრანსატლანტიკური შედარება“* ალექსია ლოჰმანი, ჰილელ რაპაპორტი და ბიაჯო სპეჩიალე *„ენის სასწავლო პროგრამების გავლენა იმიგრანტთა ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციაზე: ემპირიული მტკიცებულებები საფრანგეთიდან“* თამთა გელაშვილი: *„ინტეგრაცია, სტერეოტიპები და უსაფრთხოება: მოლენბეკის შემთხვევის ანალიზი“*
12:00 – 12:30	*შესვენება*
12:30 – 14:00	*სესია 2: მიგრაცია, ღირებულებები და სოციალური კაპიტალი* *სესიის ხელმძღვანელი: თინათინ ზურაბიშვილი CRRC -ის კვლევების დირექტორი* *დისკუსანტი: რონალდ სკელდონი გაერო-ს და მაასტრიხტის უნივერსიტეტების პროფესორი* სინტია რივერა მასიასი: *„ინდენტობების კონფლიქტი? მექსიკელი იმიგრანტები და ჰოლანდიის ინტეგრაციის პოლიტიკა“* პაოლო რუსპინი: *„სოციალური კაპიტალი, ქსელები და სუბ-საჰარელი მიგრანტი ქალები“* მაია მესტვირიშვილი, თამარ ზურაბიშვილი: *„ევროკავშირში ცხოვრების ზეგავლენის შედეგად ღირებულებათა ცვლილებები ქართველ ქალ მიგრანტებში“*
14:00 – 15:00	*სადილი*
15:00 – 16:30	*სესია 3: სამართლებრივი საკითხები და პოლიტიკის ჩარჩო* *სესიის ხელმძღვანელი: მარტაინ პლაიმი (ICMPD) დირექტორი* *დისკუსანტი: ნანა მაჭარაშვილი თსუ-ს ინტერდისციპლინარული ცენტრის დირექტორი* თათია თავხელიძე: *„მიგრაცია და ინტეგრაცია ევროკავშირის მაგალითების მიხედვით“* დაფნე ჰაიდელბერგი: *„იდეოლოგიური განვითარება, რამაც ხელი შეუწყო არაკვალიფიციური შრომითი მიგრანტების მიმართ არსებული პოლიტიკური კლიმატის ჩამოყალიბებას დიდ ბრიტანეთში“* ფლორიან ბიერმანი, ზურაბ აბრამიშვილი, მაკა ჭითანავა, ნინო დოღონაძე და მარიამ ზალდასტანიშვილი: *„რა განაპირობებს შიდა მიგრაციას საქართველოში?“*
16:30 – 17:00	*შეჯამება* რონალდ სკელდონი, გაერო-ს და მაასტრიხტის უნივერსიტეტების პროფესორი ვიოლეტა ვაგნერი, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) პროექტის კოორდინატორი გიორგი ჯაში, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს აღმასრულებელი მდივანი ქეთევან ხუციშვილი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
17:00 – 18:00	*საზეიმო მიღება*

კონფერენციის მონაწილეების

ძირითადი მომხსენებლები

რონალდ სკელდონი

მომხსენებლის ბიოგრაფია

რონალდ სკელდონი სასექსის უნივერსიტეტის გლობალური მეცნიერებების სკოლის გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორია. მას მინიჭებული აქვს პროფესორის ხარისხი სოციალურ-ეკონომიკურ გეოგრაფიაში UNU-MERIT/ მაასტრიხტის სახელმწიფო მართვის სამაგისტრო სკოლაში. ამას გარდა, რონალდი ასრულებს საკონსულტაციო სამუშაოს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, როგორიცაა ICMPD, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), გაერთიანებული ერების შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი საბჭო (SSRC) ნიუ იურკში.

რონალდმა BSc (Hons) გეოგრაფიაში გლაზგოს უნივერსიტეტში მიიღო. ტორონტოს უნივერსიტეტში გეოგრაფიის მიმართულებით მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ მან დოქტორანტურა 1974 წელს დაასრულა, დისერტაციით თემაზე „მიგრაცია გლეხთა საზოგადოებაში: კუზკოს მაგალითი, პერუში“.

მოხსენების თემა

მიგრაციის ბოლო დროინდელი ტენდენციები ევროპასა და მსოფლიოში

პანელი 1:
ინტეგრაცია

მომხსენებლები

სალტანატ ლიბერტი

მომხსენებლის ბიოგრაფია

სალტანატ ლიბერტი ასოცირებული პროფესორია ლ. დუგლას ვილდერის მმართველობისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების უნივერსიტეტში ვირჯინიის უნივერსიტეტში (აშშ). მან დოქტორის ხარისხი საზოგადოებრივ მართვაში ამერიკის უნივერსიტეტში (აშშ) მიიღო. მისი დისერტაციის თემა იყო ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში არალეგალური მიგრაცია. უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებამდე, იგი მუშაობდა გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატში, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამაში და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში ყირგიზეთში და ყაზახეთში. სალტანატი ასევე მუშაობდა კონსულტანტად მმართველობის, მიგრაციის და ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე ისეთ ორგანიზაციებში როგორიცაა მსოფლიო ბანკი, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი და საერთაშორისო კვლევის და გაცვლის საბჭო.

რეფერატი

სათაური: სამთავრობო პოლიტიკა და მუსლიმი იმიგრანტების ინტეგრაცია: ტრასატლანტიკური შედარება

ავტორები: დოქტ. სალტანა ლიბერტი, ქალ-ნი მონა სიდიქუ და დოქტ. კაროლინ გოერციგი

მუსლიმი იმიგრანტების ინტეგრაცია მზარდი მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხია ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ბოლო

ოცი წლის განმავლობაში მუსლიმი იმიგრანტების მიგრაციის ტენდენციებში ბაზრის ზრდის გამო, რომლებიც არადასავლეთის ისლამური ქვეყნებიდან ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში სახლდებიან. შეძლებს კი ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა მუსლიმი იმიგრანტების ახალი თაობების წარმატებულ ინტეგრაციას, განსაკუთრებით კი დასავლეთის ქვეყნებში გეოპოლიტიკური არეულობის ამჟამინდელი მდგომარეობის, პოლიტიკური ისლამისტური დაჯგუფებებისა და ლტოლვილთა კრიზის გათვალისწინებით? ხომ არ უწყობს ხელს მუსლიმის იმიგრანტების დანიშნულების ევროპულ ქვეყნებსა და ჩრდილოეთ ამერიკაში ცუდი ინტეგრაცია მათ გაუცხოებას და ზოგიერთ შემთხვევაში, რადიკალური ქმედების ზრდას, რომელიც ექსტრემალური პოლიტიკური ძალადობით გამოიხატება? ინტეგრაციის რომელი პოლიტიკაა უფრო ეფექტური? ჩვენი კვლევის მიზანია გადაჭრას ეს პრობლემა მუსლიმი იმიგრანტების ტრანსატლანტიკური შედარებით იმიგრანტების ოთხ ძირითად დანიშნულების ქვეყანაში: შეერთებული შტატები, კანადა, ჰოლანდია და საფრანგეთი.

კვლევის მონაცემები ორი ძირითადი წყაროდან მომდინარეობს: 1) ექსპერტთა ინტერვიუები იმიგრაციის ინტეგრაციის მეცნიერებებთან და პრაქტიკოსებთან; 2) ოთხი ქვეყნის იმიგრანტების ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი.

წინასწარი მიგნებებით ნათელია, რომ დასაქმების თანაბარი შესაძლებლობა და დასაქმებისას დისკრიმინაციის არ არსებობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მუსლიმი იმიგრანტების წარმატებული ინტეგრაციისთვის ვიდრე დანიშნულების ქვეყნების ინტეგრაციის პოლიტიკის მოცულობა. დასკვნით ნაწილში ჩვენ მოცემული გვაქვს რეკომენდაციები პოლიტიკის შემქმნელებისთვის იმიგრანტთა ინტეგრაციის ეფექტური პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების მიზნით.

ბიაჯიო სპეციალე

მომხსენებლის ბიოგრაფია

ბიაჯიო სპეციალე ასოცირებული პროფესორია ეკონომიკაში პარიზის უნივერსიტეტში 1 პანთეონ-სორბონაში. მას დოქტორის ხარისხი აქვს ეკონომიკაში Université libre de Bruxelles-დან. მისი კვლევითი ინტერესები შეეხება მიგრაციის ეკონომიკასა და შრომით ეკონომიკას პოლიტიკიური არასტაბილურობისა და დემოკრატიული ცვლილებების კონტექსტში. ბიაჯიოს სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებულია ისეთ ჟურნალებში, როგორიცა ევროპის ეკონომიკური ასოციაციის ჟურნალი, საჯარო ეკონომიკის ჟურნალი და ოქსფორდის ეკონომიკის გაზეთი.

რეფერატი

სათაური: ენის კურსების გავლენა იმიგრანტების ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციაზე: ემპირიული მტკიცებულება საფრანგეთიდან

ავტორები: ალექსია ლოჰმანი, ჰილელ რაპოპორტი და ბიაჯიო სპეციალე

ბევრ დანიშნულების ქვეყანაში იმიგრანტები ჯერ კიდევ წარმოადგენენ მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ნაწილს. სხვა საკითხებს შორის, ალგანი და სხვები (2010) აღნიშნავენ, რომ ამ კუთხით, საფრანგეთიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. იმიგრანტების სოციალური და ეკონომიკური დეგრადაციის და სამუშაოსა და საცხოვრებლის კუთხით დისკრიმინაციული პრაქტიკის გამო, საფრანგეთის მთავრობამ წარმოადგინა პოლიტიკა, რომლის მიზანიცაა იმიგრანტების ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება. 2007 წლის 1 იანვრიდან, ყოველმა ახალმა ლეგალურმა იმიგრანტმა საფრანგეთში, რომელიც 16 წელზე მეტისაა და არა ევროკავშირის წევრი ქვეყნიდანაა, ხელი უნდა მოაწეროს „Contrat d'accueil et d'integration"-ს (CAI).

ეს ხელშეკრულება მოითხოვს სამოქალაქო საკითხებში (მაგ.: საფრანგეთის ინსტიტუციების და რესპუბლიკის ღირებულებების შესახებ) და ენის კუთხით ტრენინგის გავლას, საფრანგეთში ცხოვრებაზე საინფორმაციო სესიაში მონაწილეობას და პროფესიული კომპეტენციის განცხადებას.

ჩვენი კვლევა აფასებს CAI-ის იმ კომპონენტს, რომელიც ენის ტრენინგთანაა დაკავშირებული. CAI ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ იმიგრანტმა უნდა ჩააბაროს ფრანგული ენის ცოდნის ტესტი, წერილობით და წეპირად. თუკი შედეგი არასაკმარისი იქნება, პირმა უნდა გაიაროს ლინგვისტური ტრენინგი. ჩვენ ვაკვირდებით ენის ტრენინგის გავლენას იმიგრანტების ეკონომიკურ ინტეგრაციაზე საფრანგეთში.

აღმოჩნდა, რომ ენის ტრენინგების ხელმისაწვდომა მნიშვნელოვნად ზრდის დასაქმების და მუდმივი კონტრაქტის დადების ალბათობას ტესტის გავლიდან სამ წელიწადში. ჩვენ ასევე გავაანალიზეთ ენის ტრენინგის ეფექტი იმ შედეგებზე, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ ინტეგრაციასთან, როგორიცაა კავშირების დამყარება, სავხოვრებელი და ცხოვრების პირობები.

თამთა გელაშვილი

მომხსენებლის ბიოგრაფია

თამთა გელაშვილმა მაგისტრატურის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო უნივერსიტეტში, ამსტერდამის უნივერსიტეტში, 2014 წელს მიიღო. მას ასევე აქვს ბაკალავრის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებსა და ბიზნესის ადმინისტრირებაში ამერიკული უნივერსიტეტიდან ბულგარეთში. ამჟამად იგი მოწვეული ლექტორია საქართველოს უნივერსიტეტში და ასწავლის საგნებს თანამედროვე შუა აზიის, შუა აზიის პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების, ინგლისური

ენის და ინგლისური ენის აკადემიური წერის შესახებ. თამთა ასევე მუშაობს ორგანიზაციული განვითარების მენეჯერის პოზიციაზე ადამიანის უფლებათა განათლებისა და მონიტორინგის ცენტრში (EMC).

რეფერატი

სათაური: ინტეგრაცია, სტერეოტიპი და უსაფრთხოება: მოლენბიკის შემთხვევა

ავტორი: თამთა გელაშვილი

თავშესაფრის მაძიებლების და ლტოლვილების ბოლო დროინდელი შემოდინება ევროპაში ახალ გამოწვევებს უქმნის ევროპას. იმიგრანტებისინტეგრაციაერთ-ერთიყველაზემწვავესაკითხია.ბოლო დროინდელი ტერორისტული თავდასხმების და არატოლერანტული დამოკიდებულის ზრდის გამო, შესაბამისად, სოციალური ინტეგრაციის პოლიტიკის უსაფრთხოების პოლიტიკასთან კოორდინირების საჭიროება უფრო აშკარაა. ამ კუთხით, კონკრეტული კონტექსტების და ინტეგრაციისადმი სხვადასხვა მიდგომების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება.

ნაშრომში გამოყენებულია ბელგიის მაგალითი. უფრო კონკრეტულად კი, იგი მოიცავს ინფორმაციას თუ როგორ აგვარებს ბელგია მზარდ იმიგრაციას და რა პოლიტიკას ატარებს ყვეყანა იმიგრანტების ინტეგრაციის ხელშესაწყობად. ამ კუთხით, ნაშრომში მოკლედ განვიხილავთ იმიგრანტების ინტეგრაციის პოლიტიკას ბელგიაში და მიმოვიხილავთ მასთან დაკავშირებულ სარგებელს და გამოწვევებს მართველობის დეცენტრალიზებული სისტემის გათვალისწინებით. ნაშრომში ასევე მოცემულია ინტეგრაციასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში ბოლო დროინდელი ტერორისტური თავდასხმების გათვალისწინებით, ასევე განხილულია შესაბამისი წინასწარ განწყობის ზრდა და ულტრა-მემარჯვენული ტენდენციები ბელგიაში. აქვე ვისაუბრებთ სირიიდან იმიგრანტების ბოლო დროინდელი შემოდინების და პოლიტიკის შესაბამისი გამოწვევების შესახებ ბელგიაში, კონკრეტულად კი ინტეგრაციისა და სტერეოტიპული დამოკიდებულების დაძლევის საჭიროებას ეროვნული უსაფრთხოების დაცვასთან ერთად.

მაია მესტვირიშვილი

მომხსენებლის ბიოგრაფია

მაია მესტვირიშვილი ასოცირებული პროფესორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე. მისი კვლევითი ინტერესებია სოციალური იდენტობა, სტიგმა და თავის გართმევა, მორალური განსჯა და რელიგიური დამოკიდებულებები. მან საერთაშორისო სტიპენდია მიიღო კოლუმბიის უნივერსიტეტში, კალიფორნიის უნივერსიტეტში-ბერკლიში,ლივენისუნივერსიტეტში,ფრიბურგის უნივერსიტეტში და ნიუ იორკის ქალაქის უნივერსიტეტში (CUNY). მაია მესტვირიშვილი წამყვანი მკვლევარია კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის (ASCN) მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტში „მოქალაქეობის სტილის დისპოზიციური და დამოკიდებულებითი განმაპირობლები საქართველოში“ და საერთაშორისო ურთიერთობების ნორვეგიის ინსტიტუტის (NUPI) მიერ დაფინანსებულ პროექტში „ჰომობია საქართველოში: შეიძლება პროგნოზირება?“. მაია სამი ინტერდისციპლინური კურსის ავტორია: „სტიგმა და ჯანდაცვა“, „მე და იდენტობა“ და „ვიზუალური მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“.

მარტინ ჰოფმანი

მომხსენებლის ბიოგრაფია

მარტინ ჰოფმანი მიგრაციის კვლევის და პოლიტიკის შექმნის სპეციალისტია, რომელსაც ამ მიმართულებით 13 წელზე მეტი პროფესიული გამოცდილება გააჩნია. იგი ICMPD-ს გენერალური დირექტორის პოლიტიკური მრჩეველია. როგორც პროგრამის კოორდინატორი, იგი კოორდინირებას უწევს ცენტრის პროგრამას ლეგალური მიგრაციის და ინტეგრაციის საკითხებში. მარტინს ნამუშევარი აქვს ევროკავშირის და ეროვნულ დონეზე დაფინანსებულ მრავალ პროექტში ისეთ სფეროებში როგორიცაა მიგრაცია, მიგრაციის მართვა და ინტეგრაცია. მისი სამუშაო კონცენტრირებულია შედარებით კვლევებსა და პუბლიკაციებზე იმიგრაციის, არალეგალური მიგრაციის, ადამიანების უკანონოდ გადაყვანის, ინტეგრაციის, თავშესაფრის და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების მიმართულების ეროვნულ და ევრუპულ კონტექსტში. იგი ასევე მუშაობდა როგორც მკვლევარი ICMPD-ს სამდივნოებისთვის ბუდაპეშტის და პრაღის პროცესში, საკონსულტაციო ფორუმზე 50-ზე მეტი მთავრობისათვის მიგრაციის მართვის ყოვლისმომცველი და მდგრადი სისტემის შექმნის მიზნით ევროპის კონტექსტში.

მარტინ ჰოფმანს უნივერსიტეტის ხარისხი აქვს პოლიტიკურ მეცნიერებებში, აქცენტით ევროპულ ინტეგრაციაზე, ევროკავშირის პოლიტიკური სისტემა და ავსტრიის პოლიტიკური სისტემაზე ვენის უნივერსიტეტში. იგი საერთაშორისო მიგრაციის, ინტეგრაციისა სოციალური ერთობის სრულყოფის ქსელის (IMISCOE) წევრია; მუშაობდა ლექტორად დანუბის უნივერსიტეტში კრემში და ვენის უნივერსიტეტში.

პანელი 2:
მიგრაცია, ღირებულებები და სოციალური კაპიტალი

მომხსენებლები

სინიტია რივერა მარსიასი

მომხსენებლის ბიოგრაფია

სინიტიას გამოცდილება აქვს საერთაშორისო ურთიერთობებში, ფლობს ბაკალავრის ხარისხს მექსიკის უნივერსიტეტიდან (ITESM) და სპეციალობის სერთიფიკატს იმავე სფეროში ბრიტანეთის კოლუმბიის (UBC) უნივერსიტეტიდან კანადაში. სინიტიას მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი განვითარების მეცნიერებებში ფოკუსით მმართველობაზე, პოლიტიკასა და პოლიტიკურ ეკონომიკაზე სოციალური მეცნიერებების საერთაშრისო ისტიტუტიდან. ამჟამად იგი სწავლობს მაგისტრის ხარისხზე საერთაშორისო განვითარების მიმართულებით დადბოუდის უნივერსიტეტში ნიჯმეგენში, ამასთანავე იგი გადის ტრენინგს UTZ-ში ამსტერდამში, მუშაობს ფერმერების (კონკრეტულად კი მცირე ბიზნესის მფლობელების და ქალი ფერმერების) და სამოქალაქო საზოგადადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებაზე. მისი კვლევითი ინტერესებია ინტეგრაციის პოლიტიკა, ინტერრასობრივი დინამიკა და ეთნიკური უმცირესობის საკითხები.

რეფერატი

სათაური: საპირისპირო იდენტობები? მექსიკელი იმიგრანტები და ჰოლანდიის ინტეგრაციის პოლიტიკა

ავტორი: სინიტია რივერა მასიასი

მიგრაციის ტენდენციების ზრდასთან ერთად, ინტეგრაციის პოლიტიკა რელევანტური ელემენტია მიგრანტების კეთილდღეობისა და მასპინძელი ქვეყნების სოციო-ეკონომიკური სტაბილურობისთვის. ეს კვლევა განიხილავს თუ როგორ უზრუნველყოფს ჰოლანდიის მოქალაქეობის მიღება ბინადრობას, მაგრამ არა იტნეგრაციას. იმიგრაციის ბოლო დროინდელი ნაკადების შედეგია ახალმოსულების მიმართ უფრო მკაცრი დამოკიდებულებები და პოლიტიკა. ამ კონტექსტში, მოქალაქეობა წამყვანი პრინციპი გახდა ჰოლანდიის ინტეგრაციის პოლიტიკაში. მოქალაქედ გახდომისთვის, იმიგრანტებმა უნდა დაამტკიცონ ინტეგრაციის დონე ეკონომიკურად დამოუკიდებლობის და ჰოლანდიის საზოგადოებაში ჩართულობის ჩვენებით. ინტეგრაციის ამ პოლიტიკის გამოყენებით, ჰოლანდიის სახელმწიფო ახერხებს მისი სამოქალაო საზოგადოების ჰომოგენურობის დაცვას, კონტროლს და მართვას სოციალური ექსკლუზიის და უთანასწორობოს დაძლევის დონემდე.

ნაშრომში განხილულია მექსიკელი იმიგრანტების ინტეგრაციის გამოცდილება და გამოკვლეულია „ნამდვილი ინტეგრაციის“ საფუძვლები. მექსიკელი იმიგრანტები ერთდროულად მოძრაობენ სხვადასხვა პოლიტიკურ საზოგადოებაში, ექვემდებარებიან კონკრეტული წრეების პრივილეგიებსა და/ან ზეწოლას. მათი სოციალური ადგილმდებარეობა, იდენტიფიკაცია და ემოციური კავშირები მნიშვნელოვნად განაპირობებს მათი ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობას. შესაბამისად, ინდივიდის იდენტობა და მოქალაქეობა ჩანერგილია და განიცდიან არათანაბარ ინტეგრაციას. კველვაში გამოყენებულია მოქალაქეობის „მრავალი შრის“ თეორია და ბიოძალა, სადაც მოქალაქე განიხილება უფრო ფართო კონტექსტში, როგორც სახელმწიფოს მექანიზმი წევრების სახელმწიფო მოწყობაში ჩართვის თუ გამორიცხვისთვის. მექსიკელი იმიგრანტების ინტეგრაციის უდიდესი პრობლემა არა ჰოლანდიის მოქალაქეობის მიღებაა, არამედ ყოველ დღიურ ცხოვრებაში ჰოლანდიის საზოგადოების ნორმატიული და მორალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაა. ამიტომაც, მექსიკელები ინტეგრაციას ინტეგრაციას ახერხებენ რეალობაში მორგებით პირობების და ვადების განხილვის გზით ან წინააღმდეგობის გამოვლენით ან მორჩილებით, რაც შეიძლება მოხდეს ჰოლანდიის ინტეგრაციის პოლიტიკის ფარგლებში ან მის მიღმა.

პაოლო რუსპინი

მომხსენებლის ბიოგრაფია

პაოლო რუსპინი უფროსი მკვლევარია კომუნიკაციის მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლუგანოს უნივერსიტეტში (USI) 2008 წლის თებერვლიდან. იგი ასევე საპატიო მკვლევარია სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში როეჰამფტონის უნივერსიტეტში. როგორც პოლიტიკური მეცნიერი, იგი სწავლობდა საერთაშორისო და ევროპულ მიგრაციის და ინტეგრაციას 1997 წლიდან ყოვლისმომცველი მიდგომით. მისი ამჟამინდელი კვლევა ეხება ტრასნაციონალურ მიგრაციას ევროპაში თეორიული და ემპირიული კუთხით. პაოლოს ბოლო პუბლიკაციებია: მიგრაციის და ტრასნაციონალიზმის საკითხები შვეიცარიასა და ბულგარეთს შორის (2017, სპრინგერი, თანა-რედაქტორი) და ევროკავშირის გაფართოების ათწლეული: ცვალებადი გარემო და მიგრაციის ტენდენციები, (2014 წელი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მიგრაციის მიმოხილვა, ტომი 3, ნომერი 2, თანარედაქტორი).

რეფერატი

სათაური: სოციალური კაპიტალი და კავშირი სუბ-საჰარელი მიგრანტი ქალებისთვის

ავტორი: პაოლო რუსპინი

ნაშრომში გამოყენებულია ევროპული პროექტის „სწავლააფრიკელი ქალი მიგრანტების სოლიდარობისთვის: დახმარება აფრიკელი ქალი მიგრანტებისთვის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის რეგიონში“ (LeFamSol) მიგნებები, რომელიც 2014-2015 წლებში კვლევის კონსორციუმის მიერ განხორციელდა საბერძნეთში, თურქეთში, იტალიაში, შვეიცარიასა და კვიპროსზე. ხარისხობრივი კვლევა ჩატარდა საბერძნეთში, თურქეთში და იტალიაში, რომლებიც სუბ-საჰარელი აფრიკელი მიგრანტების მიმღები სამი ქვეყანაა პროექტის სხვა პარტნიორებთან ერთად. მიგრაციის

ეროვნული კონტექსტის შედარებითი თვალსაზრისით აღწერის შემდეგ, კვლევაში ყურადღება გამახვილებულია აფრიკელი ქალი მიგრანტების ტრასნაციონალური ქსელის პოტენციალის სრულად ასახვასა და სამიზნე ქალების გაძლიერებაზე.

სოციალური კაპიტალის და ტრასნაციონალური მიგრანტთა ქსელის ფარგლებში თანატოლ მსწავლელთა და ტრენერების ჯგუფში ინტერკულტურული კომპეტენციის და კავშირებაშემოთავაზებული მიდგომის ძირითადი ელემენტია. საბოლოო მიზანია ეთნიკური თვით-დახმარების სტრუქტურების შექმნა განგრძობითი სწავლის კონტექსტში. თვით-დახმარების სტრუქტურები აფრიკელი ქალი მიგრანტებისთვის შეიძლება განვითარდეს აღწერილი თანატოლთა სწავლის და კავშირის გამოცდილებიდან, რომელიც ჩადებულია საერთაშორისო მიგრაციის ტრანსფორმაციულ პროცესებში, მიგრანტების ტრასნაციონალიზმსა და ინტეგრაციის პრაქტიკების და სწავლის საჭიროებების შეცვლაში.

მაია მესტვირიშვილი

მომხსენებლის ბიოგრაფია

მაია მესტვირიშვილი ასოცირებული პროფესორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე. მისი კვლევითი ინტერესებია სოციალური იდენტობა, სტიგმა და თავის გართმევა, მორალური განსჯა და რელიგიური დამოკიდებულებები. მან საერთაშორისო სტიპენდია მიიღო კოლუმბიის უნივერსიტეტში, კალიფორნიის უნივერსიტეტში-ბერკლიში, ლივენის უნივერსიტეტში, ფრიბურგის უნივერსიტეტში და ნიუ იორკის ქალაქის უნივერსიტეტში (CUNY). მაია მესტვირიშვილი წამყვანი მკვლევარია კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის (ASCN) მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტში „მოქალაქეობის სტილის დისპოზიციური და დამოკიდებულებითი განმაპირობლები საქართველოში“

და საერთაშორისო ურთიერთობების ნორვეგიის ინსტიტუტის (NUPI) მიერ დაფინანსებულ პროექტში „ჰომობია საქართველოში: შეიძლება პროგნოზირება?“. მაია სამი ინტერდისციპლინური კურსის ავტორია: „სტიგმა და ჯანდაცვა“, „მე და იდენტობა“ და „ვიზუალური მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“.

თამარ ზურაბიშვილი

მომხსენებლის ბიოგრაფია

თამარ ზურაბიშვილი ამჟამად პროექტი ENIGMMA ICMPD-ს ანალიტიკური დეპარტამენტში მკვლევარად მუშაობს. თამარს მაგისტრის ხარისხი აქვს მედიის მეცნიერებებში ნიუ სქულის უნივერსიტეტიდან და სოციოლოგიაში მოსკოვის სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებების უნივერსიტეტიდან. მას ასევე მოპოვებული აქვს დოქტორის ხარისხი სოციოლოგიაში ქ. თბილისში, ილიას უნივერსიტეტში. უმაღლესი განათლების სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების გარდა, თამარი ჩართულია საქართველოდან ემიგრაციის და დაბრუნებულთა რეინტეგრაციის რამდენიმე კვლევაში. იგი მუშაობდა როგორც IOM-ის, კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების ინსტიტუტის (CIPDD), ევროპის საუნივერსიტეტო ინსტიტუტის (ფლორენცია, იტალია), ევროპის ფონდის (ყოფილი ევრაზიის პარტნიორობის ფონდი), ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის და ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის კონსულტანტი/ექსპერტი.

რეფერატი

სათაური: კონსერვაციიდან თვით-აღმატებამდე: ევროკავშირის გამოვლინება და ღირებულების გადატანა ქართველ ქალ მიგრანტებზე

ავტორები: მაია მესტვირიშვილი და თამარ ზურაბიშვილი

ნაშრომის მიზანია მიგრაციის გამოცდილების მრავალფეროვნების და მათი ქართველ ქალ დაბრუნებულ მიგრანტებზე გავლენის ანალიზი. ნაშრომი ხარისხობრივი კვლევის შედეგებს ეფუძნება, რომელიც თბილისში, საქართველოში, 2015 წლის ზაფხულში ჩატარდა ჩაღმავებული ინტერვიუების და ფოტოს მეშვეობით ინფორმაციის შეგროვების გამოყენებით: გამოკითხული იყო 17 დაბრუნებული ქალი. „თოვლის გუნდის“ შერჩევის მეთოდი გამოყენებული იყო ინფორმანტების იდენტიფიცირებისთვის - დაბრუნებულები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან. სპეციალური ყურადღება გამახვილდა ღირებულებების და იდენტობის ცვლილებაზე მიგრაციული გამოცდილების გათვალისწინებით.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირში ემიგრაციამ ფუნდამენტალური ცვლილებები შეიტანა რესპონდენტების ღირებულებათა სისტემაში. კერძოდ კი, შედეგები აჩვენებს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ცხოვრება ცვლის ქალების აღქმას, დამოკიდებულებებსა და ღირებულებებს. საზღვარგარეთ ცხოვრების და მუშაობის შედეგად ქალები მეტად დამოუკიდებლები, სოციალურად აქტიურები და თვით-მოტივირებული ხდებიან პირადი მიზნების მისაღწევად. ნაშრომი ეფუძნება შვარცის ღირებულებათა კონტინუუმს იმის დასადასტურებლად, რომ ეს ცვლილებები აისახება კონსერვაციული მიდგომის თვით-აღმატების განზომილებაში გადანაცვლებით. მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტების ემიგრაციის ძირითადი მიზნები ეკონომიკური ხასიათის იყო და ბევრი ოჯახის კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის გაემგზავრა, ისინი ადასტურებენ, რომ „ბედნიერების ძიება“ ის მთავარი ღირებულება იყო, რომელიც მათ შეიძინეს და რომელიც არაა დაკავშირებული ფინანსური წარმატების მიღწევასთან. ღირებულებები, რომლებიც ყველაზე ხშირად იყო ნახსენები რესპოდენტების მიერ არამატერიალურ ღირებულებს შეესაბამებოდა და არა მატერიალურს.

ეს ნაშრომი ასახავს, რომ რესპონდენტების მიერ ემიგრაციის თავიანთი გამოცდილების დადებითად თუ უარყოფითად შეფასების მიუხედავად, ემიგრაცია ცხოვრების შემცველი გამოცდილებაა, რომელსაც შესაძლოა უფრო ღრმა გავლენა ჰქონდეს მიგრანტების იდენტობაზე, აყალიბებს მათ ღირებულებებს და ხელს უწყობს ინდივიდუალურ თავისუფლებას, თვით-რეალიზებას, სხვების კულტურის პატივისცემას, თვით-განვითარებას და პირად ზრდას.

თინათინ ზურაბიშვილი

მომხსენებლის ბიოგრაფია

თინათინ ზურაბიშვილი ფლობს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს და ამჟამად კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) კვლევების დირექტორია. მას აქვს სხვადასხვა ორგნიზაციაში მკვლევარის პოზიციაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და არის მრავალი პუბლიკაციისა და კვლევის ავტორი. მის პუბლიკაციებს შორის იხილავთ: „ფულადი გადარიცხვები საქართველოს პროვინციებში: დაბა თიანეთის მაგალითი (2013)"; „საქართველოში დაბრუნება: დაბრუნების მოტივები, რეინტეგრაციის მოდელები, მდგრადობა (2013)" და სხვა.

თინათინი წარმოშობით საქართველოდან არის და მშობლიურ ენასთან ერთად ფლობს ინგლისურ, რუსულ და იტალიურ ენებს.

რონალდ სკელდონი

მომხსენებლის ბიოგრაფია

რონალდ სკელდონი სასექსის უნივერსიტეტის გლობალური მეცნიერებების სკოლის გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორია. მას მინიჭებული აქვს პროფესორის ხარისხი სოციალურ-ეკონომიკურ გეოგრაფიაში UNU-MERIT/ მაასტრიხის სახელმწიფო მართვის სამაგისტრო სკოლაში. ამას გარდა, რონალდი ასრულებს საკონსულტაციო სამუშაოს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, როგორიცაა ICMPD, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), გაერთიანებული ერების შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი საბჭო (SSRC) ნიუ იურკში.

რონალდმა BSc (Hons) გეოგრაფიაში გლაზგოს უნივერსიტეტში მიიღო. ტორონტოს უნივერსიტეტში გეოგრაფიის მიმართულებით მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ მან დოქტორანტურა 1974 წელს დაასრულა, დისერტაციით თემაზე „მიგრაცია გლეხთა საზოგადოებაში: კუზკოს მაგალითი, პერუში“

პანელი 3:
საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩო

მომხსენებლები

თათია თავხელიძე

მომხსენებლის ბიოგრაფია



თათია თავხელიძე მაგისტრატურის სტუდენტია ევროპულ მეცნიერებათა ინსტიტუტში თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თათიამ სამართალი გერმანიის უნივერსიტეტში, პესაუში შეისწავლა როგორც გაცვლითი პროგრამის სტუდენტმა. მაგისტრატურის პროგრამამდე, იგი სწავლობდა გერმანულ და ამერიკულ მეცნიერებებს მოკლე პერიოდი ვურცბურგის უნივერსიტეტში, გერმანიაში. მან ბაკალავრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო. თათია ჩართული იყო როგორც ტრენერი ინფორმაციულ ტრენინგ კურსში ნატოს და ევროკავშირის შესახებ, რომელიც ეთნიკური უმცირესობისთვის საქართველოში გაიმართა. მის გამოცდილებაში ასევე შედის მოკლე ვადიანი სასწავლო ვიზიტი ევროპის პარლამენტში ბრუსელში. ამასთანავე, თათია მუშაობდა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სამინისტროში.

რეფერატი

სათაური: მიგრაცია და ინტეგრაცია ევროკავშირის მაგალითზე

ავტორი: თათია თავხელიძე

ამ პროცესებით ჩამოყალიბებულმა მიგრაციის ნაკადებმა და ეთნიკურმა უმცირესობებმა გამოიწვიეს ინტეგრაციის პრობლემა, რომელიც დიდი გამოწვევაა თანამედროვე ევროპისთვის.

ევროკავშირი მიგრაციის კრიზისს განიცდის. მას არ გააჩნია სტრატეგია თუ როგორ უნდა მოახდინოს იმიგრანტების ინტეგრაცია ევროპულ საზოგადოებაში. კავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული ერთიანი კომპეტენციები თავისუფლები, უსაფრთხოების და სამართლის სფერო, რომელიც ასევე მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს, ართულებს ერვროკავშირისთვის ამ სფეროში ერთიანი მოქმედების შესაძლებლობას. ამ მიზეზით, პრობლემურია ერთიანი, ეფექტური სამართლებრივი სისტემის არსებობა, რომელიც დაიცავს იმიგრანტების უფლებებს მიმღებ საზოგადოებაში და უზრუნველყოფს მათ სამართლიან ინტეგრაციას ევროპის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამიტომ, ნაშრომში ჩამოყალიბებულია ძირითადი კითხვა: „არის თუ არა ევროკავშირის სამართალი ეფექტური იმიგრანტების უფლებების დაცვისთვის და უზრუნველყოფს თუ არა იგი სამართლიან ინტეგრაციას ევროპის კანონებში, რითაც იქმნება იმიგრანტების უფლებები ევროკავშირში ოთხი განზომილებით. კონკრეტულად კი: როგორ არის თანაბარი მოპყრობა ფორმულირებული ევროპის მიგრაციის კანონში არალეგალურ მიგრანტებთან დაკავშირებით? ევროკავშირის სამართლის მიდგომა იმიგრანტების უფლებების დასაცავად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს? უზრუნველყოფს იგი იმიგრანტების სამართლიან ინტეგრაციას მთლიან საზოგადოებაში? და ბოლოს, როგორ შეიძლება ევროკავშირის კანონმდებლობის გაუმჯობესება იმიგრანტების უფლებების უკეთ დასაცავად კავშირის შიგნით?“

დაფნე ჰეიდელბერგი

მომხსენებლის ბიოგრაფია

დაფნე ჰაიდელბერგი ფლობს აბერდინის უნივერსიტეტის მაგისტრატურის ხარისხს ანთროპოლოგიაში და საერთაშორისო ურთიერთობებში, ასევე საერთო მაგისტრატურის ხარისხს გლობალურ კვლევებში ვენისა და ლაიფციგის უნივერსიტეტებიდან (ერასმუს მუნდუსის პროგრამის ფარგლებში). იგი ამჟამად სწავლობს

საერთაშორისო განვითარების უმაღლეს სამაგისტრო კურსზე რადბუნდის უნივერსიტეტში და გადის ტრენინგისა და სტაჟირების პროგრამას ნიდერლენდების საგარეო საქმეთა სამინისტროში სადაც ახალგაზრდების დასაქმებასა და უმუშევრობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და არალეგალური მიგრაციის ირგვლივ მუშაობს. მისი საკვლევი ინტერესები მოიცავს შრომით მიგრაციას, მიგრანტთა უფლებების კანონმდებლობას და მიგრაციის უსაფრთხოებას.

რეფერატი

სათაური: რომელმა იდეოლოგიამ იქონია გავლენა გაერთიანებულ სამეფოში არსებულ პოლიტიკურ კლიმატზე დაბალი კვალიფიკაციის მქონე შრომითი მიგრაციის ირგვლივ?

ავტორი: დაფნე ჰაიდელბერგი

ბოლო წლებში გაერთიანებულ სამეფოში მიგრანტ მუშაკთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ის, რომ ამჟამად გაერთიანებულ სამეფოში არსებული შრომთი ემიგრაციის პოლიტიკა ეწინააღმდეგება „დაბალი კვალიფიკაციის მქონე“ მიგრანტების გაერთიანებულ სამეფოში შემოდინებას.

ეს პოლიტიკური კლიმატი განპირობებულია სხვადასხვა ისტორიული და სოციო-ეკონომიკური მოვლენებით, რომლებიც გავლენას ახდენს მიგრანტ მუშაკთა სტატუსის აღქმაზე, განსაკუთრებით კი „დაბალი კვალიფიკაციის მქონე“ მიგრანტებზე.

ამ ნაშრომში განხილულია დიდი ბრიტანეთის პოსტ-კოლონიალური პოლიტიკის გავლენა, ნეოლიბერალური რეფორმები, მიგრანტების დაცულობა და დიდი ბრიტანეთის როლის გავლენა საერთაშორისო მიგრანტების უფლებების კანონმდებლობაზე, რათა აიხსნას ამჟამად არსებული უარყოფითი დამოკიდეულება „დაბალი კვალიფიკაციის მქონე“ მიგრანტ მუშაკების მიმართ.

იმისათვის, რომ გავიგოთ დასაქმების სექტორში არსებული დამოკიდებულება დაბალი კვალიფიკაციის მქონე“ მიგრანტ მუშაკებზე, აუცილებელია ცნება «კვალიფიკაცია», როგორც მუშაკთა კატეგორიზაციის ინსტრუმენტი, დავშალოთ იმ

როლის გათვალისწინებით რასაც გენდერი და რასა თამაშობს ამ პროცესებში.

ნაშრომში ასევე განხილულია უცხოელი მუშაკთა როგორც „დაბალი კვალიფიკაციის მქონე“ მუშაკთა უარყოფა ბრიტანული ნეოლიბერალური პოლიტიკასთან, კეთილდღეობის რეფორმასთან და სახელმწიფო უსაფრთხოებასთან მიმართებაში. და ბოლოს დიდი ბრიტანეთის უარი მიგრანტ მუშაკთა უფლებების მრავალმხრივი ხელშეკრულების რატიფიცირებაზე გაანალიზებულია ბრიტანეთის შიდა პოლიტიკური მოვლენების ფონზე 1970 წლიდან დღემდე.

ფლორიან ბირმანი

მომხსენებლის ბიოგრაფია

ფლორიან ბეირმენმა მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი თამაშის თეორიაში ჰიბრუს უნივერსიტეტში, ისრაელი. 2011 წლიდან, ის გახლავთ თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ასისტენტ-პროფესორი, თბილისი, საქართველო.

მიუხედავად იმისა, რომ ფლორიანი განათლებით თეორეტიკოს-ეკონომისტია, ის ხშირად არის ჩართული გამოყენებითი ეკონომიკის პროექტებში ისეთი კლიენტებისთვის, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა, USAID, საქართველოს მთავრობისა და ბიზნეს ასოციაციები.

ფლორიანს გამოქვეყნებული აქვს ორი აკადემიური და ერთი მიმდინარე ნაშრომი. გარდა ამისა იგი ავტორია 60-ზე მეტი პოპულარული მედია სტატიებისა და საქართველოსა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების პოლიტიკის ანალიზისა.

რეფერატი

სათაური: რა განაპირობებს შიდა მიგრაციას საქართველოში?

ავტორები: ფლორიან ბიერმენ, ზურაბ აბრამიშვილი, მაკა ჭითანავა, მარიამზალდასტანიშვილი.

ამ ნაშრომში ჩვენ ვაწარმოეთ ეკონომეტრიკული შემოსავლის ანალიზი, რათა განისაზღვროს ის ალბათობა, რაც უბიძგებს მოქალაქეს გახდეს შიდა მიგრანტი.

ჩვენი გამოყენებული მონაცემების უმეტესობა ეყრდნობა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზას რომელიც უზრუნველყოლია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ (საქსტატი). საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, მოსახლეობა გადაადგილდება სოფლის დასახლებიდან ქალაქის მიმართულებით, სავარაუდოდ ქალები უფრო ხშირად ხდებიან შიდა მიგრანტები, ხოლო უმცირესობის წევრებს შედარებით ნაკლებად უწევთ გადაადგილება.

წინა ლიტერატურისგან განსხვავებით, ჩვენ ვამტკიცებთ რომ, უთანასწორობა რეგიონებში ხელს უშლის ადამიანების რეგიონში მიგრაციას. ამდენად უთანასწორობა უნდა განვიხილოთ, როგორც გურკვეველი შემოსავლების პროქსი ცვლადი.

კიდევ ერთი საინტერესო შედეგი არის ის, რომ მიგრაცია განპირობებულია რეგიონში არსებული საწარმო სამუშაო ადგილებით, ამდენად სავარაუდოა, რომ საქართველოში მიმდინარეობს ანალოგიური პროცესები რაც მიმდინარეობდა ევროპულ ქვეყნებში ადრეული ინდუსტრიალიზაციის ფაზაში.

აღწერით სტატისტიკაზე დაყრდნობით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველოში სოფლის დეპოპულაცია და ქალაქების ხალხით შევსება მწვავე პრობლემა ხდება, ამდენად პოლიტიკური ინტერვენციების მიზანი უნდა იყოს შიდა მიგრაციის პროცესების შენელება.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთავაზობთ პოლიტიკურ ინტერვენციებს, რომელიც დაკავშირებული იქნება შემოსავალის გაურკვევლობის შემცირებისა და სოფლად საწარმო-სამუშაო ადგილების სუბსიდიისკენ.

მარტაინ პლაიმი

მომხსენებლის ბიოგრაფია

მარტაინ პლუიმმა კარიერა ICMPD-ში 1999 წელს დაიწყო. ორგანიზაციაში მიგრაციასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხზე მუშაობის გამოცდილების მიღების შემდეგ, მან 2005 წელს მუშაობა ევროკომისიაში დაიწყო. იქ მარტაინი მუშაობდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მიგრაცია, თავშესაფარი და საზღვრის მართვა ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამდივნოში. მარტინი ICMPD-ს 2007 წელს დაუბრუნდა. ამჟამად, აღმოსავლეთის მიმართულების დირექტორის პოზიციაზე, იგი უძღვება ICMPD-ს ღონისძიებებს აღმოსავლეთ მიგრაციულ მარშრუტებში მიგრაციული დიალოგების ხელშეწყობის კუთხით. მარტაინი ხელმძღვანელობს აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში მიმდინარე ყველა პროექტს და მართავს გუნდებს, რომლების მუშაობენ არალეგალურ მიგრაციასა და დაბრუნებაზე, ადამიანით ვაჭრობაზე, საზღვრის მართვასა და სავიზო პროგრამებზე. ICMPD-ში მუშაობის გარდა, მარტაინი ადამიანით ვაჭრობის შესახებ ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფის წევრი იყო (2008-2011) და PAG-ASA-ს (ბელგიური არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად) ერთ-ერთი მმართველია.

ნანა მაჭარაშვილი

მომხსენებლის ბიოგრაფია

ნანა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური მეცნიერებების და კვლევის განვითარების ცენტრის დირექტორია. მას დოქტორის ხარისხი აქვს პოლიტიკურ მეცნიერებებში. ნანას კვლევით ინტერესებია: გამიზნული დემოკრატია, მოქალაქეობრივი ჩართულობა და მონაწილეობითი დემოკრატია ადგილობრივ მმართველობაში, საზოგადოებრივი მონაწილეობა, შედარებითი საჯარო პოლიტიკა, საჯარო პროგრამების მარცხის მიზეზები, საზოგადოებრივი მონაწილეობა საჯარო პოლიტიკის შექმნაში; საჯარო ადმინისტრირების რეფორმის პროცესი საქართველოში; შერიგების პროცესი ძალადობრივი კონფლიქტის შემდეგ; გარდამავალი სამართალი - რთული არჩევანი სამართალდევნასა და აღდგენას შორის ადამიანის უფლებების წარსულ დარღვევებთან დაკავშირებით.

შენიშვნები

შენიშვნები

შენიშვნები

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

"უახლესი მიგრაციული პროცესები და ევროპა: გამოწვევები და შესაძლებლობები"
საერთაშორისო კონფერენციის მიმოხილვა

საერთაშორისო კონფერენცია საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს, ICMPD-ს და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევის განვითარების ცენტრის მიერ ერთობლივად ორგანიზებული ინიციატივაა, რომელიც ევროკავშირის დაფინანსებით, ICMPD-ს პროექტის ENIGMMA-ს („მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში) ფარგლებში ხორციელდება საქართველოში. კონფერენცია საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის ნაწილია, რომელიც ხორციელდება 2014 წელს SCMI-სა და TSU-ს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე. ინიციატივა ხორციელდება ENIGMMA-ს პროექტის ღონისძიებების მეშვეობით, რომელიც მთავრობასა და აკადემიურ წრეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას გულისხმობს და რომლის მიზანიცაა საქართველოში მიგრაციის მართვისთვის შესაძლებლობების გაძლიერება სათანადო, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სტრატეგიების შექმნის და მიგრაციისა და განვითარების წამყვან სექტორებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზის გზით. კონფერენცია შედგება რამდენიმე კონკრეტული თემისაგან, რომლებიც აკადემიურ წრეებსა და მთავრობას შორის ზემოთ ხსენებული თანამშრომლობის მიზნებს გამოხატავს. ღონისძიებაზე მოწვეულია მიგრაციის სფეროს მკვლევარები რომლებიც წარადგენენ და განიხილავენ კვლევით ნაშრომებს.

ეს მიმოხილვა კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეთა შესახებ მოკლე ინფორმაციას მოიცავს, ასევე მოცემულია ყველა წარმოდგენილი და განხილული ნაშრომის რეფერატები.

ENIGMMA
Putting the pieces together
to respond effectively to migration challenges

State Commission
on Migration Issues

ICMPD
International Centre for
Migration Policy Development